პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 136.324/3
ეროვნული ბიბლიოთეკა

K 136.324
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭო

# დადგენილება

## საქართველოს პროფსაბჭოს VI პლენუმისა

1969 წლის 14 აპრილი.

# ПОСТАНОВЛЕНИЕ

## VI ПЛЕНУМА СОВПРОФА ГРУЗИИ

14 апреля 1969 г.

მარქსის სახ. სახ. საჯარო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

თბილისი
1969

331.88(С.ფილ)(063)

პროფესიული კავშირები საქართველოში – კონფერენცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეც-2000
შემოწმებულია

14 გ

2012

45 ლ [-3]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## საქართველოს პროფსაბჭოს VI პლენუმისა

1969 წლის 14 აპრილი

## კურორტებისა და ტურიზმის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოს სსრ-ში

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ პროფკავშირულმა კომიტეტებმა, პროფკავშირთა კურორტებისა და ტურიზმის რესპუბლიკურმა და ტერიტორიულმა საბჭოებმა უკანასკნელ წლებში ჩაატარეს დიდი სამუშაოები, მიმართული სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზების ქსელის შემდგომი განვითარებისათვის, მათი კეთილმოწყობის, მათში მშრომელთა მომსახურების კულტურის ამაღლებისა და საფინანსო-სამეურნეო გეგმების შესრულების უზრუნველყოფისათვის.

რესპუბლიკის პროფკავშირთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებსა და ტურისტულ ბაზებში, აგრეთვე პიონერულ ბანაკებში გასულ წელს 740 ათასმა კაცმა, ანუ 1967 წელთან შედარებით 74 ათასი კაცით მეტმა იმკურნალა და დაისვენა.

პროფკავშირთა კურორტების მართვის საბჭოებმა ჩაატარეს სანატორიუმების შემდგომი სპეციალიზაცია დაავადებათა ცალკეული სახეების მიხედვით; ბევრი გამაჯანსაღებელი დაწესებულება აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურითა და მოწყობილობებით.

ასრულებდნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების განვითარების შესახებ“, გამაჯანსაღებელი დაწესებულებების კოლექტივები თავიანთი მუშაობის პრაქტიკაში აქტიურად ნერგავენ მედიცინის უახლეს მიღწევებს.

გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ახალ მშენებლობებ-

ზე, კეთილმოწყობაზე, კაპიტალურ შეკეთებაზე და აღჭურვაზე, ტურისტული ბაზებისა და მათი მეურნეობების მომარაგებაზე მოწყობილობებითა და ინვენტარით 1968 წელს 18 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა სანატორულ-კურორტული დაწესებულებებისა და ბაზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს ძირითადი ფონდი წლის განმავლობაში 10,927,0 ათასი მანეთით გაიზარდა და მიმდინარე წლის დასაწყისისათვის 98,432,0 ათას მანეთს მიაღწია; ტურიზმის საბჭოს სისტემაში ძირითადი ფონდები 1968 წელს 1 მილიონ 065 ათას მანეთამდე გაიზარდა და ამჟამად 10.500 ათას მანეთს შეადგენს.

პროფკავშირთა კურორტების მართვის და ტურიზმის საბჭოების დაქვემდებარებაში მყოფ გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში, ტურისტულ ბაზებსა და სხვა დაწესებულებებში განმტკიცდა სამეურნეო ანგარიში. ამ სისტემაში მთლიანად შესრულებულია მომსახურების გეგმა და უზრუნველყოფილია გეგმით გათვალისწინებული დაგროვებების მიღება, რომლებიც წარიმართება კურორტებისა და მასობრივი დასვენების ადგილების შემდგომ განვითარებასა და კეთილმოწყობაზე.

მეტი ყურადღება ეთმობა კადრებთან მუშაობას: მათ შერჩევას, განაწილებასა და სწავლებას.

სანატორულ-კურორტული დაწესებულებების ტურისტული ბაზების და მათი მეურნეობების კოლექტივები აქტიურად მონაწილეობენ დაწესებულებათა საუკეთესო მომსახურებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაც ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.

ამასთან ერთად პროფკავშირთა კურორტების მართვისა და ტურიზმის რესპუბლიკური და ტერიტორიული საბჭოების, მათ დაქვემდებარებაში მყოფი გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, ტურისტული ბაზებისა და მეურნეობების მუშაობაში მშრომელთა სანატორულ-კურორტულ მომსახურებისა და მასობრივი დასვენების ორგანიზაციის, აგრეთვე ფინანსურ-სამეურნეო გეგმების შესრულების მხრივ ზოგიერთი ნაკლოვა-

ნებებია. გარდა ამისა არადამაკმაყოფილებლად სრულდება სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბაზებისა და სხვა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ობიექტების მშენებლობისა და ექსპლოატაციაში შეყვანის გეგმები.

კაპიტალურ დაბანდებათა 1968 წლის გეგმები კურორტების მიხედვით შესრულებულია 92,7 პროცენტით, არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა 87,8 პროცენტით, და სამშენებლო ბანკების კრედიტებისა სულ 63,8 პროცენტით, ამის შედეგად რიგი მოქმედებაში შესაყვანი ობიექტებისა არ იყო შეყვანილი მწყობრში. ასეთივე მდგომარეობაა ტურიზმის საბჭოს ობიექტების ხაზითაც. ჭიანურდება ტურბაზების მშენებლობა ყაზბეგში, ფასანაურში ,ვარძიაში, ბაკურიანში, ქუთაისში და სხვაგან. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებულია სულ 74,2 პროცენტით, 770 ათასი მანეთით ნაკლებით ვიდრე გასულ წელს.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა და ტურბაზების მშენებლობა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოიჯარადრე ორგანიზაციების მიერ. სანატორიუმებისა და ტურბაზების ნელი მშენებლობა იწვევს ხარჯების ზრდას დაუმთავრებელ მშენებლობებზე.

პროფკავშირთა კურორტების მართვის და ტურიზმის საბჭოები, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები და საოლქო საბჭოები სათანადო მუშაობას არ ეწევიან სამეურნეო ორგანოების სახსრების მისაზიდად გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილების მშენებლობაზე.

რესპუბლიკის ზოგიერთ გამაჯანსაღებელ დაწესებულებებსა და ტურისტულ ბაზებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მკურნალობისა და დასვენებისათვის საჭირო პირობები, ნაკლოვანებებია კვების ორგანიზების საქმეში, დაბალია მომსახურების კულტურა, რაც მშრომელთა საფუძვლიან საჩივრებს იწვევს.

ზოგიერთი დასასვენებელი სახლები და პანსიონატები,

რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ საჭირო პირობების უქონლობის გამო არ სარგებლობენ მშრომელთა მოთხოვნით წლის ცივ დროს, ამის შედეგად ზამთრის პერიოდში გაცემული საგზურების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი რჩება.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, განსაზღვრავს რა გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა და ტურისტული ბაზების შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებს შემდგომი წლებისათვის მიზანშეწონილად სთვლის:

— პროფკავშირთა კურორტების მართვის საბჭოსა და ტურიზმის საბჭოს ყველა იმ ობიექტების მშენებლობის დამთავრებას, რომლებიც წინა წლებში დაიწყო და ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ საწოლების ფონდის შეყვანის ტემპების ზრდას შემდგომ ხუთწლედში.

ძვირფასი სამკურნალო ფაქტორების მქონე არსებული კურორტების განვითარებას და განმტკიცებას, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ უზრუნველვყოთ ისინი მაღალკვალიფიციური კადრებით, უახლესი სამედიცინო აპარატურით, საერთო საკურორტო აღჭურვილობით და ნაკლები კაპიტალური დაბანდებისას მივიღოთ საუკეთესო სამედიცინო და ეკონომიური ეფექტურობა;

— შედარებით უფრო ძვირფასი საკავშირო და ადგილობრივი კურორტების, აგრეთვე სანატორიუმებისა და ტურბაზების მნიშვნელოვან გაფართოებას და მშენებლობის დაჩქარებას ქობულეთში, ბორჯომში, გაგრაში, ურეკში, მალთაყვაში, ანაკლიაში, ყაზბეგში, ფასანაურში, ბაკურიანში და ა. შ.

— დასვენების დაწესებულებათა მსხვილი კომპლექსების მშენებლობას, აგრეთვე დასვენების დაწესებულებათა რეკონსტრუირებასა და გაფართოებას ისე, რომ მათში ადგილების რაოდენობამ მიაღწიოს 1000—2000 და მეტს. რაც უზრუნველყოფს მათი ექსპლოატაციის ეკონომიურ მომგებიანობას.

— სანატორულ-კურორტული დაწესებულებების, ტურბაზების, დასასვენებელი დაწესებულებების მშენებლობას მაღალი კომფორტულობით, ორი და ერთ ადგილიანი პალატებით

ან ოთახებით ოჯახებისათვის, რომლებიც აღჭურვილი იქნება ყველა სანატორულ-ტექნიკური მოწყობილობებით, ლოჯიებით ან აივნებით;

— არსებულ კურორტებზე, წყლით და ტალახით სამკურნალოებზე, კურორტული პოლიკლინიკებისა და სხვა ნაგებობათა ფართო მშენებლობას, რაც გააუმჯობესებს ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების პირობებს;

— სპორტული ნაგებობების, აუზების, კურ. დარბაზებისა და სხვა ნაგებობათა მსხვილი კომპლექსების მშენებლობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კომპლექსების გამოყენებას მთელი წლის განმავლობაში და მათ მაღალ რენტაბელობას.

— გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა და ტურისტული ბაზების სამედიცინო და მომსახურე პერსონალისათვის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

— სამშენებლო ინდუსტრიის საკუთარი ბაზის, დამხმარე სამშენებლო საწარმოების, დამხმარე სოფლის მეურნეობებისა და სხვათა განვითარებას.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი იწონებს საქართველოს პროფსაბჭოს მიერ სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და ტურისტული ბაზების ქსელის განვითარებისათვის დასახულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს: სანატორიული საწოლების ზრდას უახლოეს წლებში 2950 საწოლით და საწოლების საერთო რიცხვის მატებას უახლოეს წლებში 11 ათას 620 საწოლამდე, დასასვენებელი სახლებისა და დასასვენებელი პანსიონატების რიცხვის ზრდას 1830 საწოლით, ამ დაწესებულებებში საერთო საწოლთა ქსელის ზრდით 12 ათას 310 საწოლამდე, ტურისტულ ბაზებსა და ბაზა-სასტუმროებში ჩამომსვლელთა ერთდროულად მიღებას 20.000 კაცამდე.

პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურ საბჭოს და ტურიზმის საბჭოს ურჩევს ქობულეთში მსხვილი საკურორტო კომპლექსის, წყალტუბოში, ცემში, სურამში, ჯავასა და შოვში სანატორიუმების, აგრეთვე წითელწყაროს რაიონის სოფ. არხილოსკალოში თირკმელოვანი დაავადების სამკურნალო სანატორული კომპლექსის მშენებლობასთან ერ-

თად დასახოს ღონისძიებები დედათა და ბავშვთა, აგრეთვე ოჯახების დასვენებისათვის პანსიონატებისა და ბაზების ქსელის განვითარებისათვის კურორტებზე ბორჯომში, გაგრა, ბაკურიანი, ბახმარო, ურეკი, მალთაყვა და ანაკლია.

პლენუმი მოითხოვს პროფკავშირთა კურორტების მართვის და ტურიზმის რესპუბლიკური და ტერიტორიალური საბჭოებისაგან, აგრეთვე პროფკავშირთა საოლქო საბჭოებისაგან:

—აღმოფხვრან ნაკლოვანებები, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი მშრომელთა მომსახურების მხრივ სანატორიუმებში, პანსიონატებში, დასასვენებელ სახლებში და ტურისტულ ბაზებში, აგრეთვე სხვა მეურნეობებში.

— ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება დამსვენებელთა საუკეთესო მომსახურებისათვის, მუდმივი დახმარება აღმოუჩინონ მათ მკურნალობისა და დასვენებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად დასახული ღონისძიებების განხორციელებაში;

— უფრო მკაცრი ფინანსური კონტროლი დააწესონ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, ტურისტული ბაზებისა და მეურნეობების მხრივ სახსრების სწორად ხარჯვაზე, მატერიალურ-ქონებრივ ფასეულობათა მოვლა-პატრონობაზე, უფრო ღრმად ჩასწვდნენ თვითეული სანატორულ-კურორტული დაწესებულებისა და ტურისტული ბაზის ეკონომიკაში, განამტკიცონ მათში სამეურნეო ანგარიშიანობა, სრულყონ დაგეგმვა და აღრიცხვა, იბრძოლონ თვითეული გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა, ტურისტული ბაზისა და მეურნეობის რენტაბელობისათვის.

— 1960-1970 წლების განმავლობაში სავსებით დაამთავრონ ყველა მოქმედი გამაჯანსაღებელი დაწესებულებისა და ტურბაზის რეკონსტრუქცია, ხელახლა აღჭურვონ ისინი თანამედროვე ავეჯითა და მოწყობილობებით. გააგრძელონ მუშაობა სანატორულ-კურორტული დაწესებულებების სპეციალიზაციისათვის, გააფართოონ სპეციალიზებული სანატორიუმებისა და განყოფილებების ქსელი სისხლძარღვთა და კუჭნაწ-

ლავის დაავადებათა მქონე ავადმყოფების მკურნალობისათვის. გააძლიერონ ბაზური სანატორიუმების როლი, როგორც დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში ახალ მეთოდების დანერგვის, სამედიცინო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მუშაობის მოწინავე მეთოდების განზოგადებისა და გავრცელების ორგანიზაციულ-მეთოდური ცენტრისა.

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი საკითხს აყენებს საქართველოს მშენებლობის სამინისტროს წინაშე კაპიტალური დაბანდებების ათვისებასთან და სანატორიულ-კურორტული ობიექტების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბაზების მოქმედებაში შეყვანისათვის გათვალისწინებული სამშენებლო გრაფიკების შესასრულებლად მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ.

პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, მშენებლობისა და საშენმასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საჭიროა მეტი დახმარება აღმოუჩინონ პროფკავშირთა კურორტების მართვისა და ტურიზმის საბჭოებს გამაჯანსაღებელი დაწესებულებების კაპიტალურ მშენებლობის გეგმის შესრულებაში სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებაში, რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი მშრომელთა სანატორულ-კურორტული დასვენებისა და ტურიზმის შემდგომ გაუმჯობესებას; იბრძოლონ უწყებების, საწარმოებისა და კოლმეურნეობების სახსრების მისაზიდად სანატორულ-კურორტული და ტურისტული ობიექტების აგრეთვე დასასვენებელი დაწესებულებების ახალ მშენებლობებში და არსებულის გაფართოებაში მონაწილეობისათვის.

პლენუმი რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს სსრ-ში კურორტებისა და ტურიზმის განვითარების პერსპექტივებით დასახული ღონისძიებების განხორციელება შექმნის შემდგომ კეთილმყოფელ პირობებს, რათა რესპუბლიკის კურორტებისა და დასვენების ადგილები იქცეს ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვან ბაზად.

---

K 13632 / 3

## ПОСТАНОВЛЕНИЕ VI ПЛЕНУМА СОВПРОФА ГРУЗИИ 14 АПРЕЛЯ 1969 г.

### СОСТОЯНИЕ И ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ КУРОРТОВ И ТУРИЗМА В ГРУЗИНСКОЙ ССР

Пленум Грузинского республиканского Совета профсоюзов отмечает, что профсоюзные организации, Республиканские и территориальные Советы по управлению курортами профсоюзов и по туризму провели за последние годы работу, направленную на дальнейшее развитие сети санаториев, пансионатов, домов отдыха и туристических баз, их благоустройству, повышению качества обслуживания трудящихся в них, а также по обеспечению выполнения финансово-хозяйственных планов.

В здравницах и туристских базах, а также в пионерских лагерях профсоюзов республики лечились и отдыхали в истекшем году 740 тыс. человек, на 74 тыс. больше чем в 1967 году.

Советы по управлению курортами профсоюзов проводили дальнейшую специализацию санаториев по отдельным видам заболеваний; многие здравницы оснащены новейшей медицинской аппаратурой и оборудованием.

Выполняя постановление ЦК КПСС и Совета Министров «О мерах по дальнейшему улучшению здравоохранения и развития медицинской науки в стране», коллективы здравниц стали активнее внедрять в практику новейшие достижения медицины.

На новое строительство, благоустройство, капитальный ремонт и оснащение здравниц, туристских баз и их хозяйств оборудованием и инвентарем израсходовано в 1968 году более 18 мил. руб.

Значительно укрепилась материальная база санаторно-курортных учреждений и баз. За год основные фонды республиканского Совета по управлению курортами профсоюзов возросла на 10.927,0 тыс. руб. и к началу

текущего года достигли 98.432,0 тыс. руб.; в системе Совета по туризму основные фонды в 1968 году возросли 1 млн. 065 тыс. руб. и составляют в настоящее время 10.500 тыс. руб.

В здравницах, турбазах и других подведомственных учреждениях Советов по управлению курортами профсоюзов и по туризму укрепляется хозяйственный расчет, в целом по этим системам выполнены планы обслуживания и обеспечено получение предусмотренных по плану накоплений, которые будут направлены на дальнейшее развитие и благоустройство курортов и мест массового отдыха.

Больше внимания уделяется работе с кадрами; подбору, расстановке и обучению их.

Коллективы санаторно-курортных учреждений, туристских баз и их хозяйств активно участвуют в социалистическом соревновании за отличное обслуживание отдыхающих, проходившее под знаком достойной встречи 100-летия со дня рождения В. И. Ленина.

Вместе с тем в работе республиканского и территориальных Советов по управлению курортами профсоюзов и по туризму, подведомственным им здравниц, турбаз и хозяйств по санаторно-курортному обслуживанию и организации массового отдыха трудящихся к выполнению финансово-хозяйственных планов имеют место ряд недостатков. Кроме того, неудовлетворительно выполняются планы строительства и ввода в эксплуатацию санаториев, пансионатов, домов отдыха, туристских баз и других лечебно-оздоровительных объектов.

План государственных капвложений по курортам за 1968 год выполнен на 92,7%, по нецентрализованным капиталовложениям на 87,8% и кредитам Стройбанка всего на 63,8%. В результате, ряд пусковых объектов не были введены в строй. Такое же положение по объектам Совета по туризму. Затягивается строительство турбаз в Казбеги, Пассанаури, Вардзиа, Бакуриани, Кутаиси и др. План капвложений выполнен на 74,2%, на 770 тыс. руб. меньше чем в предыдущем году.

Неудовлетворительно выполняется план строительства здравниц и турбаз подрядными организациями Министерства строительства Грузинской ССР. Медленное

строительство санаториев, пансионатов и турбаз вызывает увеличение затрат на незавершенное строительство.

Советы по управлению курортами профсоюзов и по туризму республиканские комитеты и областные Советы профсоюзов не ведут надлежащей работы по привлечению средств хозорганов на строительство здравниц и мест массового отдыха трудящихся.

В некоторых здравницах и турбазах республики еще не созданы должные условия для лечения и отдыха, имеются недостатки в организации питания, низка культура обслуживания, что вызывает обоснованные жалобы трудящихся.

Некоторые дома отдыха и пансионаты с круглосуточным функционированием, в виду отсутствия надлежащих условий не пользуются спросом в холодное время года, в результате значительная часть реализованных в зимние месяцы путевки в них остаются неиспользованными.

Пленум Грузинского Республиканского Совета профсоюзов определяя основные направления дальнейшего развития здравниц и туристских баз на будущие годы считает целесообразным:

— завершение строительства всех объектов Совета по управлению курортами профсоюзов и Совета по туризму, начатых в предыдущие годы и создание необходимого задела, обеспечивающего рост темпов ввода коечного фонда в последующие пятилетки;

— развитие и укрепление существующих курортов, обладающих ценными лечебными факторами, что позволит лучше обеспечить их высококвалифицированными кадрами,, новейшей медицинской аппаратурой, общекурортными сооружениями и получить при наименьших капиталовложениях наилучшую медицинскую и экономическую эффективность;

— значительное расширение и ускорение строительства наиболее ценных общесоюзных и местных курортов и санаториев и турбаз в Кобулети, Боржоми, Гагра, Уреки, Малтаква, Анаклия, Казбеги, Пассанаури, Бакуриани и др.

— Строительство крупных комплексов учреждений

отдыха, а также реконструкция и расширение учреждений отдыха с доведением количества мест в них до 1000-2000 и более для обеспечения экономической выгодности их эксплуатации;

— строительство санаторно-курортных учреждений, турбаз и учреждений отдыха с высокой степенью комфортности, с двухместными и одноместными палатами или комнатами семьи, оборудованными всеми санитарно-техническими устройствами, с лоджами или балконами;

— широкое строительство на существующих курортах, водолечебниц, грязелечебниц, курортных поликлиник и других сооружений значительно улучшающих условия медицинского обслуживания больных;

— строительство крупных комплексов спортивных сооружений, бассейнов, курзалов и других сооружений обеспечивающих круглогодичное использование этих комплексов и их высокую рентабельность;

— улучшение жилищно-бытовых условий для медицинского и обслуживающего персонала здравниц и турбаз;

— развитие собственной базы строительной индустрии, подсобных строительных предприятий, подсобного сельского хозяйства и др.

Пленум Грузинского республиканского Совета профсоюзов:

— одобряет намеченный Совпрофом план развития сети санаториев, домов отдыха, пансионатов и туристских баз, предусматривающих рост: санаторных коек в ближайшие годы на 2950 коек с доведением общего числа коек до 11 тыс. 620, домов отдыха и пансионатов отдыха на 1830 коек доведением общей коечной сети в этих учреждениях до 12 тыс. 310, туристских баз и баз-гостиниц с одновременным приемом до 20.000 человек;

Рекомендовать Республиканскому Совету по управлению курортов профсоюзов и Совету по туризму наравне со строительством крупного курортного комплекса в Кобулети санаториев Цхалтубо, Цеми, Сурами, Менджи, Джава и Шови, а также санаторного комплекса для лечения почечных заболеваний в Архило-Скало,

Цителцкаройского района, наметить мероприятия по развитию сети пансионатов и баз отдыха матерей и детей, а также семей на курортах Боржоми, Гагра, Бакуриани, Бахмаро, Уреки, Малтаква и Анаклия;

требует от республиканского и территориальных советов по управлению курортами профсоюзов и по туризму, а также от Областных советов профсоюзов:

устранить недостатки, все еще имеющие место в обслуживании трудящихся в санаториях, пансионатах, домах отдыха, туристских базах, а также в других хозяйствах;

в ознаменование достойной встречи 100-летия со дня рождения В. И. Ленина еще шире развернуть социалистическое соревнование коллективов здравниц за отличное обслуживание отдыхающих, постоянно оказывая помощь в осуществлении мероприятий по созданию условий для лечения и отдыха;

— более строго осуществлять финансовый контроль за правильностью расходования здравницами, турбазами и хозяйствами средств, сохранностью материально-имущественных ценностей, больше вникать в экономику каждого санаторно-курортного учреждения и туристских баз, укреплять в них хозяйственный расчет, совершенствовать планирование и учет, добиваться рентабельной работы всех здравниц, турбаз и хозяйств;

— в течении 1960-1971 гг. закончить полностью реконструкцию и благоустройство всех действующих здравниц и турбаз с переоснащением их современной мебелью и оборудованием. Продолжить работу по специализации санаторно-курортных учреждений, расширить сеть специализированных санаториев и отделений для лечения больных с заболеванием органов кровообращения и органов пищеварения. Усилить роль базовых санаториев, как организационно-методических центров по внедрению новых методов в диагностике и лечении, повышению квалификации медицинских кадров, обобщению и распространению передовых методов работы.

Пленум Республиканского Совета профсоюзов ставит перед Министерством строительства вопрос о необходимости значительного улучшения работы по выполнению заданий, связанных с освоением капитальных вложений

и с вводом в действие санаторно-курортных объектов, домов отдыха и туристских баз в сроки, предусмотренные графиками строительных работ.

Областным Советам и Республиканскому комитету профсоюза рабочих строительства и промстройматериалов больше оказывать помощь Советам по управлению курортами профсоюзов и по туризму в выполнении планов капитального строительства здравниц, дальнейшему улучшению качества ремонтных и благоустроительных работ. Профсоюзные организации республики должны всемерно способствовать дальнейшему улучшению санаторно-курортного обслуживания отдыха и туризма трудящихся; добиваться привлечения средств, ведомств, предприятий и колхозов к участию в новом строительстве и расширении действующих санаторно-курортных и туристских объектов, а также учреждений отдыха.

Пленум выражает уверенность, что осуществление мероприятий намеченных перспективами развития курортов и туризма в Грузинской ССР создаст дальнейшие благоприятные условия для превращения курортов и мест отдыха в республике в важные базы охраны здоровья трудящихся нашей великой страны.

---

[-3]
5 39/197
ეროვნული ბიბლიოთეკა

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

გადაეცა წარმოებას 19/V 1969 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/V 1969 წ.
შეკვ. № 1536 ტირაჟი 3000 უე 09787

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14
Типография издательства ЦК КП Грузии, ул. Ленина № 14.